პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
,,ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის"
საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 24-მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის „ბ.ბ" ქვეპუნქტის, 106′ მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ---------- ოქტომბრის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №1-ში (ნაკვეთი№1) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №03.02.26.566; ფართობი - 1207.00კვ.მ.) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212690471) საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212690471) საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონება გამოყენებული იქნას საზოგადოების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
,,ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის"
საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის
შ ე ს ა ხ ე ბ"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადება ,,ბესიკ გაბაშვილის სახელობის ქალაქ ქუთაისის კულტურისა და დასვენების პარკის'' 100 %-იანი წილის მფლობელს. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალილიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №1-ში (ნაკვეთი№1) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (დაზუსტებული ფართობი - 1207.00 კვ.მ. საკადასტრო კოდი 03.02.26.566) საწესდებო კაპიტალში შეტანა, ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირების მიზნით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის" (საიდენტიფიკაციო კოდის №212690471) საწესდებო კაპიტალში შეტანილი ქონება გამოყენებული იქნას საზოგადოების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ,,ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით; 24-მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება აგრეთვე ამ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ასევე ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები." 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ" ქვეპუნქტის, შეესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ამ კანონის შესაბამისად შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს; 106′ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის/წევრის უფლებამოსილებებს ახორციელებს/ახორციელებენ მუნიციპალიტეტის/ მუნიციპალიტეტების შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო/ორგანოები. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, როგორც დამფუძნებელი/წევრი, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის ფინანსური სახსრებისა და მოძრავი ნივთების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ, უძრავი ნივთების სარგებლობაში გადაცემის შესახებ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, როგორც პარტნიორი/აქციონერი, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების საწარმოს კაპიტალში ცვლილების შეტანის შესახებ, მათ შორის, წილის, აქციებისა და ფულადი შენატანის განხორციელების შესახებ, მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების საწარმოსთვის ქონების სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბესიკ გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის" საწესდებო კაპიტალში შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი